პროექტი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის ---- იანვარი
ქალაქი ბათუმი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

**ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე**

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. მუსტაფა ჩახვაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

# განმარტებითი ბარათი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

## ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

**ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:**

1937 წლის ოქტომბერში ფალსიფიცირებული ბრალდებით დაპატიმრებული მაშინდელი საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე და აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი მუსტაფა იუსუფის ძე ჩახვაძე, იყო გამორჩეული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. წლების განმავლობაში მუშაობდა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მისი დაპატიმრების გამო რეპრესიები შეეხო მის ოჯახსაც. 1956 წელს მუსტაფა ჩახვაძე რეაბილიტირებული იქნა. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე, მუსტაფა იუსუფის ძე ჩახვაძე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფა.

## ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

## გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

## დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

**ე) პროექტის ავტორი:**

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი).

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**საკრებულოს განათლების, კულტურის,**
**ტურიზმისა და სპორტის საკითხთა**
**კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხოიძე**